



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000042938015817

№ ს-872

19 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „ე.ვ“, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის და „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის #160 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ოთარ ჩხეიძე;
- ბ) სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის, განათლების და კულტურის განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ინნა ახალბედაშვილი;
- გ) სამუშაო ჯგუფის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ადგილობრივ მოსაკრებელთა განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - თამუნა ხაჭაპურიძე;

დ) სამუშაო ჯგუფის წევრები:

- დ.ა. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლევან ქიტუაშვილი;
- დ.ბ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შალვა ქემოკლიძე;
- დ.გ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ადგილობრივ მოსაკრებელთა განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მიხეილ თელია;
- დ.დ. ა(ა)იპ თვითმმართველ თემის - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს დირექტორი - გიორგი თალაშვილი;
- დ.ე. ა(ა)იპ თვითმმართველ ქალაქ - „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს დირექტორი - ნოდარ კაპანაძე.

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცება.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე

